საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72

N 46 19/06/2015

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის გაწეული მუშაობის ანგარიში

2015 წლის 15 მაისიდან 15 ივნისამდე კომისიამ ჩაატარა 3 სხდომა და განიხილა 4 საკითხი:

1) 2016 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამულ დაგეგმვაზე გადასვლის შესახებ;

2) ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის N48 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

3) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების 2015 წლის გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

4) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის ხარჯვის ხუთი თვის შედეგების თაობაზე გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ინფორმაციის შესახებ.

პირველ საკითხთან დაკავშირებით კომისიამ მოიწონა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის მოხსენება. აღნიშნა პროგრამული ბიუჯეტის უპირატესობანი და ეფექტურობა. მიზანშეწონილად მიიჩნია აღმასრულებელი ორგანო შეუდგეს მზადებას ბიუჯეტის პროგრამულად წარმოდგენის მიზნით;

მეორე და მესამე საკითხებთან დაკავშირებით კომისიას მიკუთვნებულ უფლებამოსილების ფარგლებში გამოტანილ იქნა და საკრებულოს წარედგინა დასკვნა.

მეოთხე საკითხთან დაკავშირებით კომისიამ მოისმინა საფინანსო სამსახურის ანგარიში და შეაფასა დამაკმაყოფილებლად.

გელა ჩავლეშვილი

კომისიის თავმჯდომარე

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია